



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 0 21 0000413662



27/04/2021

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 დადგენილების და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/199 დადგენილების საფუძველზე,

**ვბრძანებ :**

1. 2021/2022 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- **ლევან კლიმიაშვილი** – ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- **დავით მახვილაძე** - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

- **ოთარ ზუმბურიძე** - საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის ხელმძღვანელი;
- **დავით თავხელიძე** - მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი;
- **დევი ხვედელიანი** - რექტორის მრჩეველი;
- **თამარ წერეთელი** - სწავლების დეპარტამენტის უფროსი;
- **გიორგი აბრამიშვილი** - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- **გიორგი ნანიტაშვილი** - სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/სტრუქტურული ერთეულის უფროსი/წარმომადგენელი/;
- **ბექა მაისურაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.

2. დაევალოს კომისიას:

- ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს 2021 წლის 30 აპრილამდე;
- ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 და №01-05-04/199 დადგენილებებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;
- გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს კანცელარიამ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
რექტორი დავით გურგენიძე

